სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

27762060188519

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190085646

რეგისტრაციის თარიღი

28.01.2019 წ

ნოტარიუსი: ირმა ფირცხალავა
მისამართი: თბილისი, მეტრო "ახმეტელი"-ს მიმდებარე ტერიტორია
ტელეფონი: 2249212

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას ცხრამეტი წლის ოცდარვა იანვარს მე, ნოტარიუს ირმა ფირცხალავას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, მეტრო „ახმეტელის თეატრის" მიმდებარე ტერიტორია, მომმართა **სააქციო საზოგადოება "ს თბილისი"-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 209437956) გენერალურმა დირექტორმა მამუკა გელოვანმა,** თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებ ის რეესტრიდან, მომზადების თარიღი 12/06/2018 18:05:57, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი B18063879, რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა, როლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს **ქალბატონ მზია როსტომაულს.**

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **მამუკა გელოვანმა** (დაბადებული 09.07.1964წ. თბილისში, პირადი №01003006009, პირადი განცხადებით მცხოვრები: თბილისი, ლიხაურის ჩიხი №11ბ) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, მინდობილობის შინაარსი, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. აგრეთვე განვუმარტე, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ცხრამეტი წლის ოცდარვა იანვარს მე, **სააქციო საზოგადოება "ს თბილისი"-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 209437956) გენერალური დირექტორი მამუკა გელოვანი,** შემდგომში „მიმნდობი", **მზია როსტომაულს** (დაბადებული 11.12.1977წ. რუსეთში, პირადი №01001002432) რომელიც შემდეგში მოხსენიებულია როგორც „მინდობილი პირი", ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას: იყოს ჩემი, როგორც სააქციო საზოგადოება "ს თბილისი"-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 209437956) გენერალური დირექტორის წარმომადგენელი შენობა-ნაგებობების, მდებარე: **ქალაქი თბილისი, გმირი კურსანტების ქუჩა №5,** საკადასტრო კოდებით №01.11.05.013.164. და №01.11.05.013.165 დემონტაჟზე ნებართვის აღებასთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით იყოს ჩემი წარმომადგენელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაცია-დაწესებულებებში, მათ შორის, საქართველოს სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, ქალაქ თბილისის მერიაში, მერიის არქიტექტურის სამსახურში, მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამეწარმეო რეესტრში, ნებისმიერ ბანკში, წარადგინოს და მიიღოს ამ დავალების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია, ნებისმიერი საკითხი გადაწყვიტოს თავისი შეხედულებისამებრ, ხელი მოაწეროს საჭირო საბუთებს, დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია **სამ** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება ჩემს სანოტარო ბიუროში, ხოლო ორი გადაეცა „მიმნდობს,,.

ამ მინდობილობით ‚მინდობილ პირს" **უფლება არა აქვს** მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილება გადასცეს სხვა პირებს.

მინდობილობა გაცემულია **განუსაზღვრელი** ვადით და ძალაშია **გაუქმებამდე.**

"მიმნდობმა" გადაიხადა ათი ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლისა, ღვლ ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, აგრეთვე ორი ლარი თანახმად ამავე დადგენილების 39-ე მუხლისა.

დანართი:
1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადების თარიღი 12/06/2018 18:05:57, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი B18063879.

მიმნდობი: მამუკა გელოვანი

ნოტარიუსი: ირმა ფირცხალავა

ნოტარიუსი ირმა ფირცხალავა NOTARIUS IRMA PIRTSKHALAVA NOTARY IRMA PIRTSKHALAVA GEORGIA

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18063879, 12/06/2018 18:05:57

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	სს თბილისი
სამართლებრივი ფორმა:	სააქციო საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	209437956
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	1ა/5-32; 27/11/1997
მარეგისტრირებელი ორგანო:	სასამართლო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, ქერჩის შესახ., N3

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: Info@newtbilisi.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- სამეთვალყურეო საბჭო

  თავმჯდომარე/წევრი: 01006002727, ლელა სამადაშვილი

  თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: 01006000962, გელა აფციაური

  წევრი: 01025003777, ანზორი ბერიაშვილი

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- გენერალური დირექტორი - 01003006009, მამუკა გელოვანი

ყადაღა/აკრძალვა

- ყადაღა: **102018201962 01/06/2018 16:07:11**

  სს თბილისი ს/ნ 209437956

  საგანი: **უძრავი ნივთი: მისამართი: ქალაქი თბილისი, გმირი კურსანტების ქუჩა N5; საკადასტრო კოდი:, 01.11.05.013.169**

  საფუძველი: **მომართვა, NA18068596, 01.06.2018, თბილისის სააღსრულებო ბიურო**

- ყადაღა: **102018201963 01/06/2018 16:07:19**

  სს თბილისი ს/ნ 209437956

  საგანი: **უძრავი ნივთი: რაიონი ყაზბეგი, საკურიანი, 74.06.12.027**

  საფუძველი: **მომართვა, NA18068596, 01.06.2018, თბილისის სააღსრულებო ბიურო**

- ყადაღა: **102018201964 01/06/2018 16:07:25**

  სს თბილისი ს/ნ 209437956

  საგანი: **უძრავი ნივთი: ქალაქი თბილისი, გმირი კურსანტების ქუჩა 5, 01.11.05.013.164**

  საფუძველი: **მომართვა, NA18068596, 01.06.2018, თბილისის სააღსრულებო ბიურო**

- ყადაღა: **102018201965 01/06/2018 16:07:32**

  სს თბილისი ს/ნ 209437956

  საგანი: **უძრავი ნივთი: ქალაქი თბილისი, გმირი კურსანტების ქუჩა 5, 01.11.05.013.165**

  საფუძველი: **მომართვა, NA18068596, 01.06.2018, თბილისის სააღსრულებო ბიურო**

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

- მოვალე:**DE18099079 01/06/2018 16:05:48**

  სს თბილისი 209437956

საფუძველი: **აღმასრულებელი: ნელი კვაჩიძე სუბიექტის დამატება მოვალეთა რეესტრში 01.06.2018 # A18068596-004**

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge